

ანალიტიკური წერა

I ვარიანტი

ორი დავალება
დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

გერმანელი მწერლის, თომას მანის ცნობილ რომანში „ჯადოსნური მთა“ მოქმედება ვითარდება შვეიცარიის მთებში მდებარე სასტუმროში მე-20 საუკუნის დასაწყისში. ეს სასტუმრო, რომელიც მართლაც არსებობს შვეიცარიის მთებში, თომას მანის რომანის წყალობით, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი შემოქმედების მოყვარულთა შორის, რადგან ბოლო დრომდე მას შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ავთენტური, თავდაპირველი სახე: ოთახებსა და სასტუმროს საერთო სივრცეში იდგა ძველებური ავეჯი, უზარმაზარი ქალები ამშვენებდა ჰოლსა და რესტორანს. სასტუმროში ხშირად იმართებოდა საინტერესო ლიტერატურული საღამოები.

სტუმართა წრის გაფართოების მიზნით სასტუმროს ახალმა მეპატრონეებმა გადაწყვიტეს მისი განახლება. მათ ძველი ინტერიერი მთლიანად შეცვალეს თანამედროვეთი. იმ სივრცეში, სადაც იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, მოაწყვეს სპორტული დარბაზი და საცურაო აუზი.

განახლებიდან ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სტუმართა რაოდენობამ სასტუმროში კი არ იმატა, არამედ იკლო. სასტუმროს მეპატრონეებმა დაასკვნეს, რომ მათ მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ გაამართლა.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო განახლებულმა სასტუმრომ სტუმრები ვერ მიიზიდა. კრიტიკულად შეაფასეთ მეპატრონეთა დასკვნა.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

დოკუმენტური ფილმი ზუსტად უნდა ასახავდეს რეალობას, ის ფაქტებისა და მოვლენების მშრალ აღწერას უნდა წარმოადგენდეს. მასში ავტორისეული პოზიცია გამჟღავნებული არ უნდა იყოს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.